

140  
1053/3



ს. ნ. ნ. ნ. ნ. ნ. ნ.

# სამაისო სიმღერა

სულ რომ იყოს მაისი,—  
ყვავილების ფრიალი,  
სულ რომ ფრენდენ პეპლები  
ფერადფერად ფრთიანი;

პაერს ჰკვეთდეს მერცხალი  
მარდი, როგორც შურდული;  
ველზე იდგეს გაბმული  
ფრინველების ქლურტული;

მზე მოსაედეს შენობებს  
აბრეშუმის ფოჩებით,  
სულ გზვდებოდეთ ერთმანეთს  
წითელ-წითელ დროშებით;

ვეხვეოდეთ, ვკოცნიდეთ  
დობილი და ძმობილი;  
სულ ისმოდეს სიმღერა  
ტკბილი, ხმაშეწყობილი;

სულ შესტრფოდეს მთა-ბარი  
მზის სხივების აღმურსა...  
აი, ეს დაშვენდება  
ჩემს საყვარელ მამულსა.

ირაკლი აბაშიძე





# ჭ ი თ ნ ე რ ი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის  
შრომელთა შორის საბავშვო ჟურნალი

№ 5

მაისი, 1953 წ.



წელიწადი XXVII

6604



პირველად გამოცდაზე

ფორტუბუდი ო. თუბანიანი





თინათინ პომპალიძე

ნახ. გ. თათიბაძის

# სამეგობრო

მოთხრობა

იმ ზაფხულს დასასვენებლად ბებისთან უნდა წავსულიყავი მოსკოვის ახლოს, სოფელში. მამამ შევბუღება აიღო და ის იყო შევემზადეთ კიდეცაც ვასამგზავრებლად, რომ ერთმა ბარათმა სულ შეგ-  
ვაცვლევინა გეზი.

მამაჩემის ფრანტელი მეგობარი შაქრო ტოგო-  
ნიძე და მისი ქალიშვილი ლია გვთხოვდნენ ზაფ-  
ხული მათთან გაგვეტარებინა.

მე და ლია ერთმანეთს მხოლოდ მიწერ-მოწე-  
რით ვიცნობდით.

მამაჩემს ძლიერ უყვარდა თავისი ფრანტელი  
მეგობარი; ბევრი არ უფიქრია, სიხარულით გა-  
დაწვევით შორეული მგზავრობა, ბების დეგე-  
ში გაუგზავნა, რომ არ ჩავიდოდით, და ერთ მშვე-  
ნიერ დღეს „მოსკოვ—თბილისის“ მატარებელში  
ჩავსვდით.

\* \* \*

... სამი დღის მგზავრობის შემდეგ თბილისში  
ვყავით...

ავტომანქანა ერთი საკმაოდ მოზრდილი ეზოს  
ქიშკართან გაჩერდა. ეზოდან ბავშვების ყვილ-ხივი-  
ლი შემოგვეგნა.

ახლად შებინდებული იყო.  
ეზოში შევიდით.

მტკვრში ამოგანჯღული ბიჭები ფეხბურთს თა-  
მაშობდნენ.

ჩვენ ეზო უნდა გადაგვევლო და ქიშკარის პირ-  
დაპირ ავუბრით ნაგებ სამხართულიან სახლში უნდა  
შევსულიყავით. მაგრამ მოდი და გაიარე ამ ორომ-  
ტრიალში. როგორც არ უნდა მოფრიდებოდით,  
ბურთი მაინც მოგვხვედებოდა ან თვითონ ბიჭები და-  
გვეჯახებოდნენ; იმ თავგამოდებული თამაშის დროს  
რას დაგიდევდნენ ვინ იყავი?!

მამამ ჩემოდანი მიწაზე დადო და ღიმილით  
მითხრა:

— ხედავ, მარინა, ჩვენ საინტერესო თამაშზე  
მოგხვდით უბილეთოდ!

— ძალიან მონდომებით თამაშობენ, ალბათ  
სანაძლეო აქვთ დადებული, — ვუთხარი მამას და  
ორივემ ცქერა დავუწყეთ ბიჭებს.

ეზო კირიანი წყლით იყო დახსული, როგორც  
ნამდვილ სტადიონზე. კარების მაგივრად უბრა-  
ლოდ ორ-ორი ჯოხი იყო აჭეთ-იჭით დასობილი.  
ორივე მტკვრე ძლიერ განიცდიდა თამაშს. ვინ იცის,  
რას არ უუვიროდნენ ამხანაგებს, მუშტებს უქნე-

დნენ მათ, ხან ეხვეწებოდნენ, ხან კი ალტაცებით შესახებდნენ, მოუსვენრად ხტუნავდნენ.

ასეთი გახურებული თამაშის დროს გვერდითა სახლის აივნებიან მოულოდნელად გაისმა:

— ჯონლო!

დაძახილზე ერთი მეკარე შეცბა, წამით მიუგლო ყური, არ დაუჯერა გაგონილს და ისევ ამხანაგებზე გადაიტანა ყურადღება.

ქალმა განმეორებით დაიძახა. ჯონლოს ახლა კი არ ესამოვნა თავისი სახელის გაგონება, უტეხ დაეკარგა წედანდელი ხალისი, ბავშვური მოუსვენრობა...

ის ქალი, — ალბათ ჯონლოს დედა, — ზედღიხედ იძახდა:

— ჯონლო! ჯონლო!

ჯონლო უნდა წასულიყო, კარის დატოვება კი არ შეეძლო — თავის მაგივრად აუცილებლად ვინმე უნდა დაეტოვებინა. ბიჭებს ხეკვნა დაუწყო: მოდით, ვინმემ შემეცვალეთო. მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია. მეკარედ ყოფნა რა სახარბიელო იყო!

სახლის შესასვლელში პრელახალათიანი ქალი გამოჩნდა. ჯონლო მიტრიალდა მისკენ; ჯერ ბევრი ეხვეწა, ცოტა ხანს კიდევ ვიქნებო, მაგრამ ქალმა ნება არ დაართო ჯონლო მიიოხუბა და ისე წაივიდო დედისაკენ.

— ალბათ საშემოდგომო გამოცდა აქვს, — ვუთხარი მამას.

თამაში გრძელდებოდა. მარჯვენა მხრის ბიჭებმა ბურთი ცარიელი კარისაკენ წამოიღეს. მარცხენა მხრისანი ვერც კი ამჩნევდნენ, რომ მათ კარში არავინ იდგა, ყველა ბურთს მიჩრებოდა, ყველა იმას ცდილობდა, თვითონ დაეტრუა.

— გამომართვი, მარინე, — მომესმა მისი ხმა. მივბრუნდი — მაშაჩემი თავის მაკენტოშმა და შლიაპას მაწვდიდა. გამიკვირდა მისი საქციელი.

— ბიჭებს შეეღა უნდათ, — თქვა მან და პირდაპირ ცარიელი კარისკენ გაემართა.

მარჯვენა მხრის ერთ-ერთმა მოთამაშემ კართან სულ ახლოს მიიტანა ბურთი და ის იყო უნდა დაეტრუა, რომ უცნობის დანახვაზე ელდანიკრავით შედგა, წინ გადგებული ბურთით შეაჩერა. უტეხ შედგნენ სხვებიც. მამა სულ არ მოელოდა თამაშის ასე დამთავრებას...

— დარტყი! — დაუძახა მან მოთამაშეს.

ბიჭმა არ დააყოვნა, წამით უკან დაიხია და ისე მოხდენილად გაგზავნა ბურთი კარისაკენ, რომ ლამის ტაში შემოკვარი. მაშაჩემისათვის ძნელი არ იყო ბავშვის მიერ დარტყმული ბურთის აღება, მაგრამ აქ ცოტა მსახიობივით მოიქცა და ერთ-

გვარი სპორტული სილაბაზე მისცა ნეკარის მოქმედებას.

ყმაწვილებს მოეწონათ მამაჩემი, დაღლილ-დაქანცულები შემოეხვივნენ. მათ განცვიფრებას სახელარი არ ჰქონდა, როდესაც მამაჩემს საბჭოთა კავშირის გვირის ვარსკვლავი და სპორტის ოსტატის სამკერდე ნიშანი დაუნახეს. ბიჭებს თვალები გაუღრწყინდათ და ერთმანეთს აჩურჩულდნენ:

— გმირი ყოფილია...

— შენი პირივე, როგორ აიღო!

— ნეტა რა გვარია?

— ჰკითხე...

— სპორტის ოსტატია...

— ნეტავ რომელ გუნდში თამაშობს?!

მამაჩემმა თვალი გადაავლო ბიჭებს, მოეწონა ისინი, — ენერჯული, ჯანსაღი ბავშვები. ბიჭებს მაშინვე გაუმინათრდა და დიდი ხნის ნაცნობივით უბრალოდ ჰკითხა:

— ყმაწვილებო, ანგარიში როგორია?

— სამით ერთი, ჩვენს სასარგებლოდ, — უპასუხა ერთმა ყმაწვილმა, რომელსაც მისისური ეცვა და მეკრივ მკლავებსა და გულმკერდზე ოფლი გადასდიოდა.

მე და მამას გაგვიკვირდა ბიჭის გულუბრყვილო პასუხი. ჩვენს ხომ არ ვიცოდით ვინ ვის ეჯიბრებოდა. განსხვავებული არც ფორმა ჰქონდათ და არც ნიშნები...

შეხედულებით ყველა სასაცილო იყო: ოფლიან პირისახეზე მტკერი რომ დასდებოდათ, შეთხუბნილიყვნენ.

— თქვენ ნამდვილი ფეხბურთელი ხართ? — ჰკითხა მისისურიანმა ყმაწვილმა მამაჩემს.

— ფეხბურთელი არა ვარ, მაგრამ სხვებს კი ვასწავლი...

ამ პასუხმა ისე გაახალისა ბიჭები, რომ ალტაცება ვერ დამალეს და წამოიძახეს — მწერტნელი ყოფილია!

— სად, რომელ გუნდსა წვრთნით?

— რა გვარი ხართ?

— აქ ვისთან მოხვედით?

— საიდან ჩამოხვედით?

სეტყვასავე დაეყარეს შეკითხვები ბიჭებმა. მამაჩემი პასუხის ვაცემას ვერ ასწრებდა.

— დიკათ, დიკათ... ყველა ერთად ნუ... თუ გინდათ ჩემი მეგობრები იყოთ, დიკავით დისციპლინა. სკოლაში ასე ხომ არ იქცევით? — კილო შეცვალა მამამ. იგი ცოტა მკაცრი აღმოჩნდა. ბავშვები გაჩუმდნენ.

— აქ დიდხანს იქნებით? — არ მოეშვა მისისურიანი ყმაწვილი, რომელსაც რუხოს ეძახდნენ. მას

ყველაფერი აინტერესებდა: ვისთან მოვედით, რამდენ ხანს დაგრჩებოდით. მამამ უთხრა, რომ ტოგონიძეებს ვესტუმრეთ. მაგრამ იმაზე, თუ რამდენ ხანს დაგრჩებოდით მათთან, ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

მაისურიანი ბიჭი ცნობისმოყვარე იყო და გულუბრყვილოც.

— ჩვენთან წამოდით, — სთხოვა მან მამას, — ჩვენს ოჯახში სამი ფეხბურთელია, ტოგონიძეებს კი ანხელა ბიჭი ჰყავთ... — რეზო დაიხარა და მიწიდან ორიოდ მტკაველზე შეაჩერა ხელი. მერე განაგრძო:

— მეორე — გოგოა, მაგრამ ის მუსიკით არის გატაცებული. თქვენთვის ჩვენს ოჯახში უფრო კარგი იქნება. მამაჩემსაც ძლიერ უყვარს ფეხბურთი.

მე და მამაჩემს ვაგვეცინა...

ჩვენ მალე გამოვეშვიდობეთ ფეხბურთელ ყმაწვილებს. როცა ტოგონიძეების სახლისაკენ მივდიოდით, ბიჭებმა თქვეს:

— რა კაცია, შენი გულისა!

\*\*\*

ტოგონიძეების ბინაში ლიას ბებია დაგვხვდა ცხვირზე წამოსკუბებული სათვალთ. ლიას ბებია ძლიერ წააგავს ბებიაჩემს, სახით კი არა, ქცევით. ორივეს სათვალე უკეთია, — საუბრის დროს სათვალის ზემოდან გადმოგებდავენ... ზამთარ-ზაფხულ წინდის ჩხირები უჭირავთ ხელში...:

ტოგონიძეებთან ერთი პატარა ბიჭიც დაგვხვდა. მე მაშინვე გაგიფიქრე, რომ წყლან ამაზე ლაპარაკობდა რეზო. ის მართლაც სულ ერთი ციკნა ბიჭუნა იყო, მაგრამ ძალზე ლამაზი და ფუნჩულა.

დღეს თბილისის მუსიკალური ათწლიელების საუკეთესო მოსწავლეთა კონცერტი ყოფილა ფილარმონიის საზაფხულო დარბაზში. ბებია ნინომ გვითხრა, რომ ლიაც ნონაწილეობდა და დედ-

მამით იქ იყო წასული. მოხუც ქალს რადიომიმღები ჩაერთო. ჩვენს მისვლამდე კონცერტის პირველი განყოფილება მოესმინა. ახლა რადიოთი საუბარს ვადმოსცემდნენ ქართულ ენაზე. ბებია ნინომ გვითხრა, ლია მეორე განყოფილებაში გამოვიდა.

სანამ კონცერტის მეორე განყოფილების ტრანსლაცია დაიწყებოდა, მამაჩემი და ბებია ნინო საუბარს შეჰყენენ, მე კი თამაზს ვეთამაშებოდი. მალე ყველანი რადიომიმღებს მივუსხედით. პატარა თამაზი უკვე აღარ ანტობდა, იგი მოზრდილივით ჩაფიქრებული მისჩრებოდა ყუთს, საიდანაც სხვადასხვა ხმები ისმოდა.

კარგახანს უკრავდა ლია. მეც ვუკრავდი იმ მუსიკალურ ნაწარმოებს და ამიტომ უფრო მეტ სიხარულს განვიცდიდი ლიას წარმატებათ. ვხედავდი, მამაჩემს მოსწონდა ლიას დაკვრა და ამის ნიშნად მღიმილად თავს მიქნევდა ღმილით. ბებია ნინოს გული ასრუებოდა და თავსაფრის ყურით ცრემლს იწმენდა. პატარა თამაზი კი რადიოს აღარ უსმენდა, აცრემლებული ბებია შეტრალებოდა და მის კალთას მიჰკროდა.

მაყურებლებმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს ლია. ჩვენც ვუკრავდით ტაშს.

ღამის თორმეტ საათზე მოვიდნენ ტოგონიძეები.


მამაჩემი და შაქრო ძმებგვით მოგვიყენენ ერთ-მანეთს. რა დიდის აზრით ველოდით მე და ლია ერთ-მანეთთან შეხვედრას, ახლა კი ორივემ მორცხვად ჩამოვართვით ხელი.

— აიოცე, გოგო! — უთხრა ბებია ნინომ ლიას, და ჩვენ მოვეგვიეთ ერთმანეთს.

\*\*\*

მეორე დღეს ლიამ თავის ოთახში შემიყვანა და სურათებით საეჭო აღმომი მაჩვენა. სურათებზე ის თვალწარმტაცი ადგილები იყო, სადაც, ლიას თქმით, მთელ ზაფხულს ვავატარებდით. მე უკვე ვგრძნობდი ბუნების სილამეს, მსუბუქ სუფთა ჰაერს, ყვავილთა დამაბრბებელ სურნელს... გამიხარდა, კიდევ ახალი მგზავრობა რომ მელოდა.

მე და ლია ერთმანეთს ბევრ რამეს ვეუბნებოდით. დიდები მეორე ოთახში იყვნენ, ხანდახან ხალისიანად იცინოდნენ. ბებია ნინო არ გვიფწყებდა, ჩვენთანაც შემოდრიოდა ხოლმე.



ბიჭები ფეხბურთის თამაშობდნენ.

ნაშუადღევს ვილამ ელქ-  
ტროზარი დარეკა. სტუმარს ბე-  
ბია ნინომ გახედა. ჩვენი ოთახის  
კარი ღია იყო და ყველაფერი  
გვესმოდა. ბიჭები მოსულყენენ  
და მამაჩემს კითხულობდნენ. ბე-  
ბია ნინომ არ შემოუშვა ისინი.  
გუშინ ჩამოვიდა და თქვენ საი-  
დან იცნობთო, აუხირდა ბავ-  
შეებს.

— ფეხბურთი ერთად ვითა-  
მაშეთ, როგორ არ ვიცნობთ, —  
უპასუხა რომელიღაც ყმაწვილმა.  
მე და ლია ადგილიდან არ  
დავძრულვართ.

— რას ამბობთ, — უფრო  
მკაცრად თქვა ბებია ნინომ, — ის  
ხომ თქვენი ტოლი არ არის!  
რალაქას იკონებთ!

ასე რომ შეუწყრა, მერე უცებ  
დაცხრა და განაგრძო: ნამდვი-  
ლად შეგვცადათ... იქ, ზემოთ,  
კიკნაქსთან ნახეთ, იქ გყარლებათ სათქვენო სტუ-  
მარა.

— არა, ბებია ნინო, ნამდვილად აქ არის. ვინც  
ჩვენ გვიჩინა.

— გუშინ გავიცანივთ...

— დედას გეფიცებთ, აქ არის...

— ის კარგი კაცი, უთხარით, თვითონ გა-  
მოგვხედას. — არ მოეშენენ ბიჭები.

ამ ყოფაში რომ იყვნენ, დერეფანში მამაჩემის  
ხმა გავისმა:

— გამარჯობათ, ყმაწვილებო!

\*\*\*

ლიას ვუამბე გუშინდელი ამბავი, მერე იმ  
ოთახში გავედით, სადაც მამაჩემი და სტუმრად  
მოსული ბიჭები იყვნენ. გუშინ ეზოში შედარებით  
ცოტანი ვნახე, ახლა მგონი მეზობელ ეზოდანაც  
მოიყვანათ ამხანაგები მამაჩემის გასაცნობად.

ბიჭებს ჩვენს მისვლამდე უკვე ეთქვათ მამაჩე-  
მისთვის, რისთვისაც მოვიდნენ. დახმარებას სთხოვ-  
დნენ, სანამ აქ იქნებოთ. ცოტა რამ გვასწავლეთ,  
რომ ჩვენი გუნდი ძლიერი იყოსო.

— სანამ თქვენს თხოვნას შეგასრულებდეთ, —  
უთხრა მამაჩემმა სტუმრებს, — შინდა ვიცოდეთ, ვინ  
როგორ სწავლობს... თუ სკოლაში ბეჯითები  
ხართ, მაშინ მე სიამოვნებით გავუმჯობესებ თქვენს  
გუნდს... აბა, ახლა თქვენ გისმენთ... ვინ გამეც-  
ნობა პირველი?



ლიამ თავის ოთახში შემოყვანა და სურათებით საესკაჯობოში მამაჩემს.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, მე კი ყველას  
რიგრიგობით დავაკვირდი. ბიჭების ნაწილმა თავი  
უფრო მაღლა შემართა, ზოგი შეწითლდა, რამდენ-  
იმემ წარბებზეგვიმოდან უხალისოდ შემოგვეხედა,  
ნაწილმა კი თავი დახარა. მაშინვე მივხედი, ვინ  
რას წარმოადგენდა. ჯონდომ ადგილზე ვერ მოი-  
სვენა, ქამარი შეისწორა, უხეიროდ აწრიალდა.

მე ჯონდოზე ვუწერჩულებ ლიას:  
— როგორც ეტყობა, იმ ბიჭს შეადგა აქვს საქმე...  
ლიამ მითხრა, საშემოდგომო გამოცდა აქვს  
რუსულ ენაშიო.

— როგორ მივხვდი! — თითქმის ხმამაღლა წა-  
მოვიძახე და იქ მყოფთა ყურადღება მივიპყარი.  
უკან არ დავიხიე: როცა მამამ შენიშვნა მომცა, რა  
ამბავში ხარო, მაშინვე გავეცი ჯონდო. შეიძლება  
კარგად არ მომივიდა, მაგრამ ასე მოუხდება ზარ-  
მაც. ო, როგორ შემომხედა...

მე და ლია იმ ოთახიდან გავედით. მეორე  
ოთახში კარგად გვესმოდა მამაჩემისა და ბიჭების  
ლაპარაკი.

ვილაც ამბობდა:  
— მე, რეზო, ტარიელი და ჯუმბერი სუთიას-  
ნები ვართ.

— ჰო, ეს ძალიან კარგია, — შეაქო მამამ.

— გურობი, ზურა და ჯემალი ოთხოსნები  
არიან.

ბეკრი სამოსანი აღმოჩნდა, ერთი კიდეც იყო  
ჯონდოს მსგავსი.

მამამ უთხრა ყმაწვილებს:

— თქვენ ხომ პიონერები ხართ?! ზოგიერთი მალე კომკავშირში უნდა შევიდეს... კარგი მეგობრობა არ გქონიათ ერთმანეთში, უამისოდ კი თქვენ გუნდს ძლიერი არ იქნება. ხედავთ? მთავარი პირობა გაკლიათ. თქვენ კი გინდათ, რომ ასეთი გუნდი გაეწერინა...

ბიჭები ხმას არ იღებდნენ. მათ უკვე აღარავფერი ეთქმოდათ. ისინი სულ არ მოელოდნენ მამაჩემის ასეთ მასპინძლობას. მამა დიდხანს ესაუბრებოდა მათ, არიგებდა. ქარხანაში, სადაც მამა ინიცირებდა მუშაობს, არის მუშა-მოსამსახურეთა ფეხბურთის გუნდი, რომელიც რესპუბლიკურ პირველობაზე გამართულ ყოველ შეჯიბრში მოწინავე ადგილზეა. ამ გუნდის მწვრთნელი მამაჩემია. პოლა, ახლა ბიჭებს ამას უყვებოდა:

— ჩვენს გუნდში ვერცერთი ჩამორჩენილ მუშას ვერ ნახათ... ყველა იმას ცდილობს, გეგმას როგორ გადააკარბოს, წარმოებაში, სადაც მამა ახალი, მოწინავე, პროგრესული... ამაც დროს ისინი საუკეთესო ფეხბურთელები არიან. თქვენც ხომ შეგიძლიათ იყოთ ბეჯითი მოსწავლეები და კარგი სპორტსმენები? შეგიძლიათ, მე დარწმუნებული ვარ, რომ შეგიძლიათ... ახლა რა გქნათ, გმკითხებით...

კოეზი ნაცარში ჩაუვარდათ ბიჭებს. მამამ ასე გაისტუმრა ისინი, თუ კარგად ისწავლით და ერთიანი, მეგობრული კოლექტივი გქმნებათ, მე შემიძლიაო, — უთხრა მამამ, — ფუნქტურის რესპუბლიკის კომიტეტის საშუალებით მუდმივი მწვრთნელი მოგიჩინოთ. სტადიონზე ადგილს მოგცემენ და სისტემატურად ივარჯიშებთო.

— ზოგი ხეთოსანი, ზოგი ოთხოსანი... ოროს, ნებიც... არა, არც ერთი მწვრთნელი არ იქნება ასეთი გუნდის გაწყობნას. ნახვამილს, ყმაწვილებს, დაფიქრდით, ეტლს როდი იმარჯოთ!

ეს იყო მამაჩემის უკანასკნელი სიტყვები. ბიჭები დაფიქრებულნი წავიდნენ.

\* \* \*

სახლის უკან, სადაც ტოგონიძეები ცხოვრობდნენ, მიზრდილი სკვერი იყო. შადრევნის გარშემო დანრდილულ და აგურის ფუნდამენტით მოლამაზებულ მოედანზე უამრავი ბავშვი თამაშობდა. სკვერში მუდამ ქვილ-ხივილი იყო.

მე და ლია ჭადრის ქვეშ სკამზე ჩამოვსხედით და ესაუბრობდით სკოლაზე, წიგნებზე, მასწავლებლებზე. ჩვენ მართლაც ბევრი რამ გვექონდა სალაპარაკო, მაგრამ სულ ხომ არ ვილაპარაკებდით! თანაში მოგვიწინდა. მალე კარგი ვისართობი გამოვი-

ნახეთ: შევეუბრით ლიას ტოლ გოგონებს, რომლებიც ლიას კარგად იცნობდნენ, და ვაღაპრებდით და დაქრობანა გვეთამაშნა. გავითვალეთ და ლიას წილად ერგო ჩემი დაქერა. გამომიღვა. რაც ძალი და ღონე მქონდა გავიქეცი. სირბილში გვანებებს ხშირად ვევახებები ხოლმე. ახლა შემთხვევა მომეცა ლიაც გამომეცადა. გულში ვთქვი: ენახოთ ერთი, დამეწვიე თუ არა შემიძი.

მივბოდი და უკან ლია მომდევნა კვალდაკვალ.

... უეტრად ფეხი რაღაცას წამოვკარ და პირველად ვიქეცი. ეს ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ ერთ წუთს გონს ვერც კი მოვედი. ლია მომეშველა და წაივადექი. საშინელი ტრიკივი ვივარჩინე მარჯვენა მუხლში. იქვე, სადაც მე და ლია ვიდექით, იღვა ზონდოც. მან დამცინავდ შემომხედა.

— ასე მოუხდება მეტიჩარას, — თქვა უტიფრად, — ენა დაიშორე და არაფერი დაგეგმარებია! — თქვა და იქვე სკანზე ჩამოჯდა. მე რომ მუხლი ვიტიკინე, ეს არაფრად ჩაგდო. პირველად ვერც კი გავიგე რაში იყო საქმე. თურმე ჯონდოს ფეხი დაიწყო ჩემთვის და აქი იმითმ წავიქეცი.

ლია ჩემს მაგივრად ეჩხუბა.

— რა ვეყავაობა ჩაიდიწი! განა ასე ექცევიან გოგონებს!

— რად დამცინა?! — პირიქით შეგეგმათა ლიას ჯონდო, — ვინ ეკითხებოდა, ოროსანი ვარ თუ სამოსანი... შენ უთხარი, ხომ?

— დიახ, მე ვუთხარი! მეერ რა გენბავს!

— გოგონები ქორიკანები ხართ, აბა რა უნდა გელაპარაკოთ, — ხელი ჩაიქნა ჯონდომ, რადგან ლიასთან კამათში ვერ გაიმარჯვა.

— იმის მაგივრად, რომ იმეცადინოს, აქ გოგონებთან ჩხუბობს! — ნახვარად ცრემლშერეული ხმით წარმოთქვი მე.

ჩვენთან მალე ბავშვებმა მოიყარეს თავი. ზოგმა არ იცოდა რა მოხდა და კითხულობდა. ვინც ვაიგო — ჯონდოს არცხვენდა. მალე ჯონდო ბუზულუნით გავეცალა...

ერთმა ბავშვმა გულმოსულად თქვა:

— დედა მაროს დღესვე მოვახსენებ ყველავფერს. ჯონდოს მაგრა მოხდება...

\* \* \*

მეორე დღეს მე და ლია იმ სახლთან ვავიარეთ, სადაც ჯონდო ცხოვრობდა.

დედა მარო პირველი სართულის ლია სარკმელში დაიწინახეთ. ლია მიესალმა. ქალმა შეგე-



ჩერა. მას ჯონდოსი და ჩენი კინკლაობის ამბავი გაეგო და შინ შეგვიხმო...

ჯონდო არ ჩანდა. თურმე მეორე ოთახში იჯდა. დეიდა მარო გავიდა მის გამოსაყვანად. დედას სურდა მის შეიღოს შევრიგებოდათ. ჯონდო არ გამოპყვა. მისი ბუნდუნი შემოგვესმა, მაგრამ რას ეუბნებოდა დეიდა მაროს, ვერ გავარჩიეთ...

\* \* \*

სალამოს ჩვეულებრივ ფეხბურთის თამაში გააჩაღეს ბიჭებმა. ბევრი მოზრდილი უყურებდა მათ. ესენი ალბათ ფეხბურთის დიდი მოყვარულები იყვნენ, პატარების თამაშიც კი აღუღრებდათ და სწორედ ისე განიცდიდნენ, როგორც ნამდვილ სტადიონზე.

მე და ლია გვიან ჩავედით ეზოში. გავეციკირდა, როცა ჯონდო მოედინის ვარეთ დავინახეთ. იგი არ თამაშობდა, განზე იდგა დაღვრემილი. ჩვენ მალე გავიგეთ, თუ რატომ არ თამაშობდა. ერთ-ერთმა მოთამაშემ ფეხი იღრძო, ვეღარ ითამაშებდა, ბიჭების ერთ მხარეს მოთამაშე აკლდებოდა. ჯონდო გამოვიდა მოედანზე. წინ ერთი მალალი ბიჭი აეტუხა და უთხრა:

— ხომ გითხარით, არ გათამაშებთ, მორჩა და გათავდა... წადი, შენი გულისთვის თავი მოგვეკურა! ყველა იმას კითხულობს, როგორ სწავლობთ... წადი, ის გირჩევნია წიგნი აიღო ხელში... აბა, დაეიწყეთ, ბიჭებო!

თქვა ეს, ბურთს ფეხი გაჰკრა და გაიქცა. ჯონდოს არავინ მიემხრო, ყველამ ზურგი შეაქცია, შეუბღვირეს კიდევ. იმ წუთში უზომოდ შემებრა ჯონდო. ბიჭების საქციელი არ მომეწონა. ჯონდოს ხელი ჰკრეს, თავიანთი ჯგუფიდან გააგდეს, დახმარებას არავინ უწევს, კარგ სწავლას კი ურჩევენ.

ბურთი ლამის თავში მომხვდა. მე და ლიამ ადგილი გადაინაცვლეთ და ჩვენდა უნებლიეთ ჯონდოს გვერდით მოვხვდით. მან მწყრალოდ შემოგვეხვია. მაშინვე გავემორა. იმ წუთში, ალბათ, მარტო ჩვენ კი არა, ყველა სძულდა მის. იბღვირებოდა...

მე ბევრი ვიფიქრე ჯონდოზე და ყველაფერი ლის ვუთხარი. ჯონდოს უდაოდ სჭირდებოდა დახმარება.

მარტო დაპარაკი არაფერს უშველიდა. საჭირო იყო მოქმედება.

არც თამაში გვიანტერესებდა და არც შედეგი. მე და ლია შინ წავედით, რომ მამაჩემისთვის გვეთქვა ყველაფერი.



ჯონდო არ თამაშობდა, განზე იდგა დაღვრემილი.

\* \* \*

— მაშ გუნდიდან გააგდეს? — დაფიქრებით წარმოთქვა მამამ, როცა ჩვენ ყველაფერი ვუთხარით.

— აბა, წავიდეთ, გავიგოთ, ეს ხერხი რატომ ამჯობინეს ბიჭებმა, — თქვა მან, წამოდგა, ეზოში ჩავიყვანა, სიდაც ჯერ კიდევ გახურებული თამაში იყო.

ბიჭები კვლავ ხალისით შემოეხვიენენ მამაჩემს. მათ ეგონათ, რომ პირველი შეხვედრა განმეორდებოდა, მხოლოდ სპორტზე ილაპარაკებდნენ. მაგრამ მშობელი ახლაც არ გაუმართლდათ. ზოგიერთი გაწუწულ ბელუსასავით მოიბუხა, როცა მამამ კვლავ სწავლაზე და მეგობრობაზე ჩამოუგდო სიტყვა.

მე ველარ მოვითმინე და იმ ყმაწვილს შევეკამათე, რომელიც წელან წინ გადაუდგა ჯონდოს და სათამაშოდ არ გაუშვა. ამ დროს ცალი თვალი ჯონდოსაკენ გავაპარე და დავინახე, რომ იგი უფრო ახლოს მოსულყო ბიჭებთან. ახლა კი აღარ დამიბღვირა, — გაკვირვებით შემომხედა, იმ ჩხუბის და დავიდარბის შემდეგ ეს გოგო როგორ მეტოპაგებოა.

გაინართა მსჯელობა იმაზე, ეთამაშებინათ თუ არ ეთამაშებინათ ჯონდო. ზოგი ამბობდა: სანამ

ორიანს არ გამოასწორობს, როგორ შეიძლებაო... ზოგი საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდა: უნდა ათამაშოთო.

ამის რა კამათი უნდაოდა. რასაკვირველია, ჯონდლო უნდა ეთამაშებინათ. მაგრამ მარტო ამისთვის არ შემტეოდა გული. მე ის მიხლოდა, რომ ჯონდლო არაფრით არ დაშორებოდა თავის ამხანაგებს. მახსოვს, კარგად მახსოვს, შამაჩემს თავის გუნდში ბევრი ჩამორჩენილი მუშა ჰყავდა, მაგრამ ისინი კი არავის გაუფლავია, მამამ საუკეთესო მწვრთნელის სახელთან ერთად კარგი პედაგოგი-აღმზრდელის სახელიც მოიხვეჭა ქარხანაში. იმ ჩამორჩენილ მუშებს ისეთი პირობები შეუქმნა თავის სპორტულ კოლექტივში, რომ მაღე ისინი მოწინავე მუშებად იქცნენ.

აი, რატომ მივიმართე მამის, ჩარეულყო ბიჭების საქმეში.

იგი დიდხანს ელაპარაკებოდა ყმაწვილებს. უამბობდა თავის გუნდზე, ბავშვებს კიდევ და კიდევ მოაგონებდა, რომ მათი სიძლიერე მხოლოდ ერთმანეთის მეგობრულ სიყვარულზე და ერთმანეთის პატივისცემასა და დახმარებაზე დამყარებული.

ბიჭები უსიტყვოდ დაიშალნენ. არ ვიცი კი, რას ფიქრობდნენ იმ წუთში.

\* \* \*

მეორე დღეს ჯონდლოს დედა ეზოში შეგვხვდა.

— ერთ წუთს ჩვენთან შემოიარეთ, გოგონებო, — გეთხრა მან და შინ შეგვიყვანა. ჯონდლო იქ არ დავხვდა. მეორე ოთახის კარი ოდნეღ ღია იყო.

— На бугре, неподалеку от лесной до-  
роги... შემოგვესმა იმ ოთახიდან. ვიღაც მარცვალ-  
მარცვალ და საკმაოდ ნელა წარმოთქვამდა ამ  
სიტყვებს.

მე და ლიამ ყური მივუვადეთ.

ჯონდლოს დედა ჩურჩულით გველაპარაკებოდა. რომ მეორე ოთახში მყუდროება არ დარღვეულიყო. მოკარნახეს ჯონდლოს ხმა არ ჰქონდა. მაშინ იყო ხმაზე ვერ ვიცანი. ლიას უსიტყვოდ ვანიშნე, ვინ არის-მეთქი. იგი მიმიხვდა და მითხრა:

— გია კარნახობს. შეიგნეს ალბათ.

— ... Целью шли школьники предводи-  
тельствуемые...

გია კარგად კარნახობდა, — ნელა, გამოთქმით და რუსული ენისათვის დაშახასიათებელი მახვი-  
ლებში ზუსტად დაცვით. ეტყობოდა, კარგად იცო-  
და რუსული ენა.

— ... Предводительствуемые... — გამიეროა  
გია, თითქმის ასო-ასო ჩამარცვლა.

ჯონდლომ ვერ დაწერა, აბუზღუნდა:

— რა ჰკიყვალასავით ვაჭიშულა! გამოეცოვოთ!  
გიამ ხელახლა, უფრო ნელა უკარნახა.

ჯონდლოს დიდი წვალემა დასჭირდა ამ სიტყვის  
დასაწერად. ალბათ გულს ვერ უდებდა, თო-  
რემ რა ძნელი იყო ასო-ასო ნაკარნახევი სიტყვის  
დაწერა!

როგორც იყო გასცდნენ იმ „კიყვალა“ სიტყვას.

— ... Своим старым учителем. — განავრ-  
ძობდა გია კარნახს მიხეილ შოლოხოვის „გატე-  
ხილი ყამირიდან“.

— გვეყოფა! — წამოიძახა ჯონდლო.

— ჯერ რა დროს შესვენებაა! — შეუტია ვი-  
ლაკამ.

— როგორ იქნება! — მოისმა სხვა ხმა.

— კიდევ ნახევარი საათი და დღეისათვის გვე-  
ყოფა, — დაუთმო გია.

— ერიპა, ასე თუ ისწავლე, სექტემბერში კი  
არა ნოემბერშიც ვერ ჩააბარებ!

— სირცხვილია, ჯონდლო!

დედაც, ახლა რამდენი მრჩეველი და გულშე-  
მატკივარი გაუჩნდა!

მეორე ოთახში კარგად მიდიოდა საქმე...





ქ. ჩხელი

ნახ. მ. ლაუშვილისა

## მეგობრობას ასე უნდა

1.

მთელი კლასი ფიქრს მიეცა:  
ორი დღეა არ ჩანს დალი,  
ბეჯითი და გულმოდგინე,  
ოჯახის და სკოლის თვალი!  
არვის ახსოვს გაკვეთილი  
გაეცდინოს თუნდაც წუთით,  
ახლა... ალბათ რაზე მოხდა,  
ამბავია რაღაც ცუდი.

და აქ მოელმა კოლექტივმა  
თითქმის ერთხმად დაიძახა:  
ნინოს, ნელის  
და ნანულის  
დაევალოს დალის ნახვა!

2.

აი დალის ეზო... სახლი,  
სიჩუმეა, არცინ არ ჩანს,  
მხოლოდ ბაღი მზიარულად  
აშრიალებს მწვანე ფარჩას.  
კართან სამი ქალიშვილი  
დგას და დალის ელოდება...  
კარს გაადებს ნელა-ნელა,  
ფარნაოზი ცეროდენე;  
მის უკან დგას მზევინარი—  
ჭრელკაბა და შეფვალწარბა;  
არცინ არის დამხედურთაგან  
ამ პაწია და-ჰმის გარდა.

— დალი! — უხმო მზევინარიმა, —  
გამოხედე... სტუმრებია,  
სამ ამხანაგს, ქალო, შენი  
ნახვა მოუსურვებია!  
მოცქრილდა უცხად დალი,  
გაიხარა მათი ნოსვლით,  
და საყვარელ სტუმრებს შეხვდა  
ღიმილით და პირზე კოცნით.

და როდესაც შინ შევიდნენ,  
ყველამ იქით მიიხედა,  
სადაც სათნო და ფერმართალი  
ავადმყოფი იწვა დედა.

მხოლოდ მაშინ,  
მხოლოდ მაშინ  
გაიფიქრეს იმათ გულში,  
თუ რის გამო არ ყოფილა  
ის სკოლაში დღეს და გუშინ!

3.

ჩვენმა კარგმა გოგონებმა  
ხალისით და მონდომებით  
გაკვეთილებს მიპყვეს ხელი,  
და გულდასმით შეისწავლეს  
გუშინდელი დავალება,  
დავალება დღევანდელი!

ახალი რომ შეითვისეს,  
გაიხსენეს მერე ძველიც;  
ხვალ არც ერთი იმათგანი  
ორიანს და ცრემლს არ ელის.

ეზო-ბაღსაც დაუარეს,  
იქ — სარწყავი, აქეთ — ბარი...  
და მათ ნიშნად მადლობისა  
თავს უხრიდა ყვავილნარი.

განა მარტო ეს იკმარეს?  
დატრიალდნენ როგორც ჯარი,  
სარკესავით აპრილდა  
იატაკი, კარ-ფანჯარა.

დედა უმზერს.  
გული ხაროზს.  
თვალისც ხაროზს მათი მზერით;  
შენც, სამშობლოც, გიხაროდეს,  
თაობა გყავს ბედნიერი!



ნოსტრი

ნახ. ვლ. ტორტაძისა

## პირველი მარჯვენი სკოლაში და შინ\*

შენ მოსვლასთანვე საქმეს შეუდგები. ჩემმა ასეთმა სიმტკიცემ თვითონვე გააპყრობა. ვადაწყვეტი იხე შემოქმედდა, როგორც იოლა ნოთხადანამ ვერცხა: პირველად დამეწმინდებინა ძნელი გაკეთილები, შემდეგ კი უფრო იოლი. სწორედ ამ დღეს არითმეტიკაში დავადგენდი გვერდზე ამოცანის ამოხსნა. დიდხანს აღარ მიფიქრია, ვადავსულე კრებული და ამოცანის კითხვას შეუდგე.

„მალაზიაში იყო 8 ხერხი, ნაჯახები კი — სამეგრეტის დურგლების ერთ ბრიგადას მიჰყიდეს ნაჯახების ჩაოდნობის ნახევარი და 3 ხერხი — 84 მანეთად. დარჩენილი ხერხები და ნაჯახები 100 მანეთად მიჰყიდეს დურგლების მეორე ბრიგადას. რა ღირს ერთი ნაჯახი და ერთი ხერხი ცალკე?“

თავდაპირველად სრულებით ვერაფერი ვაგვიან ამიტომ ამოცანა ვადავსუთხე მეორედ, მერე მესამედ. და თანდათანობით მივხვდი, რომ ამოცანების შედგენილი ვადავსუთხე სხვათაგან მათ, რათა მოსწავლეებმა ერთბაშად ვერ მოახერხონ ამოხსნა. სწორია: „მალაზიაში იყო 8 ხერხი, ნაჯახები კი სამეგრეტის მებრძოლები“. დაიჭერათ უბრალოდ, რომ ნაჯახი იყო 24 ცალი. თუ ხერხი იყო 8 ცალი, ზოლო ნაჯახები მათზე სამეგრეტის მებრძოლებს უფროსათვის ცხადია, რომ ნაჯახი იქნებოდა 24 ცალი. პოლა, რა საქონილა დღემდე-ყოფის რომ იდებოდა? შენვე სწორია: „დურგლების ერთ ბრიგადას მიჰყიდეს ნაჯახების ჩაოდნობის ნახევარი და 3 ხერხი—84 მანეთად“, ექვსჯერ უბრალოდ: „ნაჯახებს 12 ნაჯახი“, თითქმის ნათელი არ იყოს, რომ თუ ნაჯახი 24 ცალი იყო, ნახევარი 12 იქნება. და მასთანადე უფროსად ვერცხა იხე ვადავსუთხე 84 მანეთად. შემდეგ იხე ნათქვამია, რომ დარჩენილი ხერხები და ნაჯახები მიჰყიდეს მეორე ბრიგადას 100 მანეთად“, რომელი დარჩენილი? თითქმის ადამიანურად ვერ იტყვიან?! თუ მთლიან-

ნად იყო 24 ნაჯახი და გაყიდეს 12, მასთანადე დარჩენილია 12 ხერხები კი მხოლოდ 8 ცალი იყო. თუ ერთ ბრიგადას მიჰყიდეს 3. მასთანადე მეორე ბრიგადას მიჰყიდეს 5-ს. ასეც დაეწმინდა, თორემ დახლართავენ, დავაბნევენ და მეორე კი ამბობენ: „მოსწავლეები უფუნურები არიან და ამოცანების ამოხსნა არ იციანო!“

ამოცანა რომ გამეზარტებინა, იგი ჩემებურად ვადავსუთხე და აი, რა გამოიყოფა: „მალაზიაში იყო 8 ხერხი და 24 ნაჯახი. დურგლების ერთ ბრიგადას მიჰყიდეს 3 ხერხი და 12 ნაჯახი—84 მანეთად. დურგლების მეორე ბრიგადას მიჰყიდეს 5 ხერხი და 12 ნაჯახი 100 მანეთად. რა ღირს 1 ნაჯახი და 1 ხერხი ცალკე?“

ვადავსუთხე ამოცანა ხელახლა ვადავსუთხე და ვნახე, რომ იგი ცოცხალი შემოკლებულია. მაგრამ მაინც ვერ მივხვდი, როგორ უნდა ამოიხსნა, რადგან მთელი ეს ციფრები თავში ირეოდნენ და ფაქტს ვიშლიდნენ.

ვადავსუთხე, ამოცანა ისე შემეცვებოდა, რომ მასში ნაყოლები ციფრები ყოფილიყო. ვანა სრულად უმნიშვნელო არ არის, რამდენი იყო მალაზიაში ეს ნაჯახები და ხერხები, თუკი ისინი ბოლოს და ბოლოს სულ გაჰყავდა?

ამოცანა კიდევ შევცვდი და იგი ასეთი გამოვიდა: „ერთ ბრიგადას მიჰყიდეს 12 ნაჯახი და 3 ხერხი—84 მანეთად, მეორე ბრიგადას მიჰყიდეს 12 ნაჯახი და 5 ხერხი — 100 მანეთად. რა ღირს ერთი ნაჯახი და ერთი ხერხი ცალკე?“

ამოცანა შემოკლებდა, მაგრამ მაინც იმას ვეფიქრობდი, უფრო მეტად როგორ შემეცვებოდა ვანა სულ ერთი არ არის, ვის მიჰყიდეს ეს ნაჯახები და ხერხები? მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად გაჰყავდა.

ვიფიქრე, ვიფიქრე და საბოლოოდ აი, როგორი ამოცანა მივიღე:

\* ნაჯახები ამავე სახელწოდების წიგნიდან.

„12 ნაჯახი და 3 ხერხი ღირს 84 მანეთი.  
12 ნაჯახი და 5 ხერხი ღირს 100 მანეთი.  
რა ღირს ერთი ნაჯახი და ერთი ხერხი ცალ-ცალკე?“  
მეტი შეკვეთა აღარ შეიძლება და დაიწყო ღირსი იმი-  
ჯი, თუ როგორ ამოხსენს ამოცანა.

ჯერ ვფიქრობ: თუ 12 ნაჯახი და 3 ხერხი ღირს 84 მანეთი, მაშინ საქარია შევკრიბოთ ისინი ერთად და 84 გავყოთ მიღებულ რიცხვზე. შევკრიბოთ 12 ნაჯახი და 3 ხერხი, მივიღო 15. მაშინ 84 გავყოფი 15-ზე, მაგარი უნაშაოდა არ გამოვიდეს, რომ შეცდომა დავეყო, და სხვა გამოსავლის ძებნა დავიწყო. სხვა გამოსავალი ისეთი გამოვსახე. შევკრიბე 12 ნაჯახი და 5 ხერხი, მივიღე 17. შემდეგ 84 გავყოფი 17-ზე, მაგრამ ამ გავყოფის შემდეგ დამჩრა ნაშთი. მაშინ ერთი-ნაშთის მიუხედავად ვუვლა 24 ნაჯახი და 8 ხერხი. ასევე ერთი-ნაშთის მიუხედავად მანეთები და რაც მივიღე ნაჯახებზე და ხერხებზე გავყოფი. გავყოფი მაინც არ გამოვიდა. მაშინ ვცადე ნაჯახებდნ გამომეკლერ ხერხები, ფული კი მიღებულ რიცხვზე ვავყო. მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდოდა. შემდეგ შევიცადე ცალ-ცალკე შევკრიბოთ ნაჯახები და ხერხები, მერე კი მანეთებდნ გამომეკლერ ნაჯახები და მიღებულ რიცხვზე ვავყო ხერხებზე. ერთი სიტყვით ბევრი ვცადე, ბევრი ვი-ვინჯავალხე, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა. მაშინ ავიღე ამოცანა და ვინა პასიზოვანა წავიდე.

— გამოვიხე, ვანია, — ვუთხარი მე, — 12 ნაჯახი და 3 ხერხი ღირს 84 მანეთი, ხოლო 12 ნაჯახი და 5 ხერხი ღირს 100 მანეთი. რა ღირს ერთი ნაჯახი და ერთი ხერხი? შენი აზრით, როგორ უნდა ამოხსნას ეს ამოცანა?  
— შენ როგორ ფიქრობ? — შეიხარა მან.  
— ფიქრობ, რომ საქარია შევკრიბოთ 12 ნაჯახი და 3 ხერხი და 84 გავყოთ 15-ზე.  
— მოვილა, რა საქარია ნაჯახებისა და ხერხების შეკრება?  
— იმისთვის, რომ გავყო რამდენი იყო სულ, მერე კი 84-ს გავყოთ მიღებულ რიცხვზე და გავფიქრობ, რა ღირს ერთი ცალკე.  
— „ა, ერთი ცალი!“ ერთი ნაჯახი თუ ერთი ხერხი?  
— ხერხი, — ვუპასუხე მე. — ამ ნაჯახი.  
— მაშინ გამოვი, რომ მათ ერთი ფასი ჰქონიათ.  
— მერედა, ვინ ისინი ერთი ღირებულების არ არიან?  
— რა თქმა უნდა — არა ამოცანაში ის ზომ არ არის ნათქვამი, ერთი ფასი აქვთ. პირაქით, ვსაგებია სწორად ის, თუ რა ღირს ერთი ხერხი და ერთი ნაჯახი ცალ-ცალკე. მაშასადამე. შათი შეჯამების უფლება არა ვაქვს.  
— სულ ერთია, ვინდა შევაჯამე, ვინდა არა, მაინც არაფერი გამოდის.  
— სწორად ამიტომაც არ ვამოდილი!  
— მას რა ვქნა? — ვკითხე მე.  
— იფიქრე!  
— უკვე ორი საათია ფიქრობ.  
— ახა, კარგად ჩუქვირდი ამოცანას, — მოთხრა ვანია, — რას ხედავ?  
— ვხედავ, — ვუპასუხე, — 12 ნაჯახი და 5 ხერხი ღირს 94 მანეთი, 12 ნაჯახი და 3 ხერხი კი 100 მანეთი.  
— პოდა, ამჩნე, რომ პირველსა და მეორე შემთხვევაში ნაჯახი ნაჯახებს ერთნაირი რაოდენობა, ხოლო ხერხები ორთი მეტი?  
— ვამჩნევ, — ვუპასუხე მე.  
— იმხალე ზომ ამჩნევი, რომ მეორედ გადაუხედავ 16 მანეთით მეტი?  
— ამას ვამჩნევ. პირველად გადაიხედავ 84 მანეთი, მეორედ 100 მანეთი. 100-ს ვამოკავალთ 84, იქნება 16.  
— როგორ ფიქრობ, რატომ გადაიხედავ მეორედ 16 მანეთი?  
— ეს ყველასათვის ნათელია, — ვუპასუხე მე. — იყო უნდა ზედმეტი 2 ხერხი, ამიტომაც ზედმეტი 16 მანეთი გადაიხედავს.  
— მაშასადამე, 2 ხერხში გადაიხედავს 16 მანეთი, ვთქვამ?

— დიახ, ორში, — ვუთხარი მე.  
— მას რა ეღიროება ერთი ხერხი?  
— რადგან 2 ხერხი ღირს 16 მანეთი, ერთი ეღიროება 8 მანეთი, — ვუთხარი მე.  
— მას ასე, შენ ვაიკე, თუ რა ღირდა ერთი ხერხი.  
— ფუ! — ვთქვი მე. — სულ ადვილი ამოცანა ყოფილა, როგორ ვერ მიხვდები?  
— მოვილა, შენ კიდევ უნდა ვაიკო, რა ღირს ერთი ნაჯახი.  
— ეს ზომ უნაშაოა რამ არის, — ვუთხარი მე, — 12 ნაჯახი და 3 ხერხი ღირს 84 მანეთი. 3 ხერხი ღირს 24 მანეთი. 84-ს ვამოკავალთ 24, მივიღებთ 60-ს. მაშასადამე 60 უნდა გავყოთ 12-ზე. ეს კი 5 მანეთი იქნება. დავტრუხე სახლში და ძალიან მწუხნა, რომ ამოცანა თვითონ ვერ ამოხსენარი, მაგრამ ვადაწუხეხე, შემდეგაც, 5 საათი იტოვებ რომ დამკვირდეს, ამოცანას მანაც თვითონ ამოხსენს-მეთქი.

მეორე დღეს ართმეტყაში დავაჯობა არ მოუციათ და ძალიან მიხაროდა, რადგან ამოცანის ამოხსნა არც თუ ისეთი სხაიაზომედი არ არის.  
„რა უნდა“, — ვფიქრობდი მე, — ერთ დღეს მაინც დავსვენებ ართმეტყისკავანა.“  
მაგრამ ყველადღერი სულ სხვაგვარად შეტრიალდა. ის იყო ვაკეთილშობილეს ჩავსუჯეტი, რომ ლიკა ამოხსნა.


— ვტოვა, შეხედე, ისეთი ამოცანა მოგვეცეს, რომ ვერას-მეტო ვერ ამოხსენია. დამტხმარე.  
მე ამოცანას მხოლოდ თვალს ვადავავლე და გავფიქრე: „კარგი ამბავი კი იქნება, თუ ამოხსნა ვერ მოვახერხებ, ერთ-ბაშად დამტყავრება მთელი ჩემი ავტორიტეტი“. და ლიკას ვუთხარი:  
— იცი, ლიკა, ახლა არა მცალია, თვითონაც აუარებელი ვაკეთებდები შენგ. წაიღე, ერთი-ორი საათით ვაისიერე, მერე მოდე და დავტხმარებ.

ვიფიქრე:  
„სანამ გე ისიერებებს, ამოცანაში ვავერკვევი, შემდეგ კი აუხსნა.“  
— კარგი. მაშინ ამხანაგთან წავალ, — თქვა ლიკამ.  
— წადი, წადი, — ვუთხარი მე, — ოღონდ მალე არ მოხვდე. შეგძლიან ერთი-ორი საათით ვაისიეროს. ერთი სიტყვით, რამდენიც გეუნებოს, იმდენი ისიერე.  
ლიკა წავიდა, მე კი მისი ამოცანათა კრებული ავიღე და ამოცანა წავიკითხე:

„ბიჭი და გოგონა ტყეში კაკაოს კრეფდნენ. მოკრიფეს 120 კაკალი. გოგონამ მოკრიფა ორჯერ ნაკლები, ვიდრე ბიჭმა. რამდენი კაკალი მოკრიფა გოგონამ და რამდენი ბიჭმა?“  
წავიფიქრე ამოცანა და სიტყვად არ მყოფი, — ამოცანაც ამას მჭვანა რა არის აქ გუგუნიანი? 120 უნდა გავყოთ ორზე, მივიღებთ 60-ს. მაშასადამე, გოგონამ მოკრიფა 60 ცალი. ახლა საქარია ვავიგოთ, რამდენი მოკრიფა ბიჭმა. 120-ს ვამოკავალთ 60, იქნება 60. მაშასადამე, ისეც 60 იქნება, კი მაგრამ ეს როგორ? ვამოხივს, რომ თანასწორად მოუკრიფიათ, ამოცანაში კი ნათქვამია, გოგონამ ორჯერ ნაკლები მოკრიფა. აჰაა, — ვაფიქრებ მე, — საქარია 60 გავყოთ ორზე, მივიღებთ 30-ს. მაშასადამე ბიჭმა მოკრიფა 60, გოგონამ — 30. ჩავიხედე პასუხში, იქ სწორია: ბიჭმა — 80, გოგონამ — 40!

— მოთმინეთ, — ეს როგორ? მე მივიღე 80 და 60, აქ კი 40 და 80-ია. შევამოწმე: სულ მოკრიფილია 120 კაკალი. ბიჭმა მოკრიფა 60 კაკალი, გოგონამ 30. სულ გამოდის 90. მაშასადამე, სწორია აჰაა! ამოცანის გამოყვანა თავიდან დავიწყებინე 20 და 60 გამოდის! მას რატომ არის პასუხში 40 და 80? ეს რაღაც ჯგუფონურეტი წერია ა. აქ კი ჩავფიქრე. ამოცანა ზედმედდ ორჯერ მაინც წავიკითხე, მაგრამ ვერასწავით ვერ ამოვაგერი, რაში იყო დაბრკობლა.  
„იტირება! — ვიფიქრე. — თუ მისამეკლერს იხედი მწელი ამოცანებს ადლებენ, რომ მეოთხედს სხვადასხვა ვერ ამოხსენია, ნეტავ როგორია სწავლობენ ის საცადავები?“

კაკლები ენბა და ბავშვების ტანსაცმელს გამობერილი ჯი-  
ბეები მიფუხავს, ვითომ შივ კაკლები ეყარა. ახლა მთელი 120  
კაკალი ბიჭის ორსა და გოგონას ერთ ჯიბეში მოვათავსებ.  
კაკალი ბიჭის ორსა და გოგონას ერთ ჯიბეში უცებ თავში  
ბრწყინვალე აზრმა გააძიღვდა:



— ერთი-ორი საათით გაი-  
სერიან, მერე მოდი და  
დაეგებარები.

კვლავ ჩაფუჭილი ამოცანას. სირცხვილი იყო, რომ ვერ  
ამომეხსნა. „აიო, — იტყვის ლეკა,— მეოთხე კლასშია და მესა-  
მეკლასელობს ამოცანაც კი ვერ გამოუყვანიაო!“. უფრო მეტად  
დაფუჭიდა. არაფერი გამოდის. ლამის გონება დაიხინჯა და  
ფიქარი და არ ვიცი რა ვქნა. ამოცანაში ნათქვამია, რომ  
სულ 120 კაკალი იყო, პოდა საჭურბო ისინი ისე გაიყოს,  
რომ ერთს ორჯერ მეტი ჰქონდეს მეორემ. რომელიმე სხვა  
ციფრები რომ ყოფილიყო, კიდევ რაღაცას მოიფიქრებდა კაცი,  
მაგრამ აჰ, რამდენჯერაც არ უნდა გაყო 120 ორზე, რამდენ-  
ჯერაც არ უნდა გამოყოლო 120-ს ორი, რამდენჯერაც არ უნ-  
და დაგაამრავლო 120 ორზე, სულ ერთია 40 და 80 მაინც არ  
გამოდის.

სასწრაფოთელმა, რვეულში კაკლებს ხე დავხატე, ხის ძი-  
რას კი გოგონა და ბიჭი, ხოლო სხუე 120 კაკალი და ასე ვხა-  
ტავდი ამ კაკლებს, ვხატავდი და სულ ფიქრობდი. ოღონდ  
ჩემი ფიქრები იქით არ მიმართებოდა, საითაც საჭირო იყო.  
ჯერ გაფიქრებ, რატომ უნდა დაეკრიფა ბიჭს ორჯერ მე-  
ტი კაკალი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ალბათ სხუე აბჭრა,  
გოგონა კი დაბლიდან კრეფდა და ამიტომაც მოკრიფა ასე  
სობა. შემდეგ დავიწყე ამ კაკლების აკრეფა, ესე იგი უპრა-  
ბოდ საშუალებით ვშლიდი ხიდან და ვაძლევდი ხან გოგონას  
და ხან ბიჭს, ესე იგი ამ კაკლებს თავებთან ვუხატავდი ბავ-  
შეებს. შემდეგ ვიფიქრე, ისინი კაკლებს უფოთლად ჯიბეში  
იყრიდნენ-მეთქი; ბიჭს ჭურთხუცი ეცვა. მე მას გვერდებზე  
ორი ჯიბე დავუხატე. გოგონას კი წინსაფარი ჰქონდა და ამი-  
ტომ ამ წინსაფარზე ერთი ჯიბე დავხატე. მაშინ ვიფიქრე,  
შეიძლება გოგონამ სწორედ იმიტომ მოკრიფა ნაკლები, რომ  
მხოლოდ ერთი ჯიბე ჰქონდა. პოდა, ვიფიქრე და დავეპიროდი  
მათ. ბიჭს ორი ჯიბე ჰქონდა, გოგონას კი ერთი, და აი, ჩემს  
თავში რაღაცემ გაიფიქრა. მე მოვუშლდი მათ თვითონ რომ

„მთელი 120 კაკალი უნდა გაიყოს  
სამ ნაწილად! ერთი ნაწილი გოგონას  
ერგება, ორი ნაწილი კი ბიჭს დარჩე-  
ბა; ამიტომაც მას ორჯერ მეტი ექ-  
ნება“. საჩქაროდ გავუვი 120 ხა-  
ზე, მივიღე 40. მამასაღამე ერთი ნა-  
წილი არის 40, ეს 40 კაკალი გოგო-  
ნამ მოკრიფა. მაგრამ ბიჭს ხომ ორი  
ნაწილი ჰქონდა, მამასაღამე 40 უნდა  
გავამრავლოთ 2-ზე და მივიღებო  
80-ს! ზუსტად ისე, როგორც პასუხ-  
შია. სისარულისაგან კინაღამ შეე-  
ხტი და საჩქაროდ ვინა პაპიოფოთლად  
გაეციქო, რომ მეამბნა თვითონ.  
გამოვარდი ქუნაში, ვხედავ —  
შეიყინე მოდის.

— უფრი მივდე, კოსტია! გოგონა  
და ბიჭი ტყეში კაკალსა ჰკრეფდნენ.  
მათ 120 კაკალი მოკრიფეს. ბიჭმა  
ორჯერ მეტი აიღო გოგონაზე. შეენი  
აზრით, რა უნდა ვქნათ?

— რა და, კეთაში ლხათიანად წამოვარტყათ, რომ გოგო-  
ნებს მეორედ აღარ აწვიდნოს.  
— არა, მე მავას არ გეკითხები. როგორ გავუთო ისე, რომ  
ბიჭს ორჯერ მეტი ერგოს?

— თვითონ გაიყონ, როგორც სურდეთ, რას ჩამაცივდი!  
გაიყონ შეაზე!

— შუაზე გაყოფა არ შეიძლება. ამოცანა ასეთი,— ვთხო-  
ბი მე.

— რა ამოცანა?

— არითმეტული ამოცანა.

— ფუ!— თქვა შიშინმა. — მე წლებს ღორი მომიკვდა,  
რომელიც მხოლოდ გუშინწინ ვიყიდე, ეს კი ამოცანებს მა-  
ჩინებს.

— ო, მაშინ მპატიე, არ ვიცილო, თუ ასეთი უხედურება  
დაგატყდა თავს.

ვუხსარი და გავცივდი.  
მივირბინე ვინაიხთან.

— გამოვინე, ვინა,— ვუთხარი მე,— ნახე, რა თავხატები  
ამოცანა: გოგონამ და ბიჭმა მოკრიფეს 120 კაკალი, ბიჭმა  
ორჯერ მეტი აიღო. უნდა სამ ნაწილად გაიყოს. ხომ სწორად  
მივხედე?

— სწორაა,— მიიზარა ვანიამ, — ერთ ნაწილს გოგონა აი-  
ღებს, ორ ნაწილს კი ბიჭი, ამიტომ მას ორჯერ მეტი ექნება.

— მას თვითონ მივხვდი,— ვუთხარი,— ძალიან კი დაუხ-  
ლართავე ამოცანა, ეგნათ ვერავე გაიგებდა, მაგრამ მე  
მაინც მივხვდი.

— აი, ყოჩაღ!

— ახლა ამოცანებს თვითონ გამოვიყვანე. — ვთქვი მე.

— რა თქმა უნდა, უმჯობესია მსულამ თვითონ ამოსხა  
ხოლომე, მერე სარტელბობას მოვტანს,— თქვა ვანიამ.

ისევ ხაზლში გავაქვი, ქურაში უფერად იურა კახატკინს შევხვდი.

— ყური მივდე, იურა, — ვუთხარი მე—გოგო და ბიჭი ტყეში კაკალს კრფდნენ...

— თავიდან მომწყვდი შენი კაკლებიანად! უმჯობესია ის მითხრა, რატომ არ მეცადინებ და ქურა-ქურა დარბიხარ?

— სინდისს გეფიცები, ვმეცადინებო.

— მაგებს თავი დაანებე. მიუღ კლასს უკან სწვე, შენ და აი ის, — შენი შოშკანი.

— სინდისს გეფიცები, ვმეცადინებო. შიშკინს ზღვის ღორი მოუკვდა. შენ საღ მიდიხარ?

— შეშინან მოვდიოდი. მინდოდა მენახა, როგორ მეცადინებო, შენ კი ხაზლში არ დამხვდი. გზედგე, როგორც აწაღებ გაკეთილებს.

— არა, პატროხან სიტყვას ვამბობ, ამოცანას ვიყვანდი, პოდა, გამოვიყვანე და ერთი წუთით ვანიასთან გავიქეცი, რომ მისთვის შეამბნა. აი, წამოდი ჩემთან და ნახავ.

მივედიო ხაზლში. მე ვაჩვენე ამოცანა გოგონასა და ბიჭის შესახებ.

— კი მაგრამ, ეს ხომ მესამე კლასის ამოცანაა?

— განგებ ვიმეორებ შარშანდელ ამოცანებს, — ვუთხარი მე, — შარშან არითმეტიკაში ცუდად ვსწავლობდი. პოდა, მინდა უველადერი ავინაწლადური.

— ეს კარგად მოგაფიქრებია. წინა მასალა რომ კარგად გეცოდინება, ახალს უკეთესად შეისწავლი.

იურა წაიდა. მალე ლიკა დაბრუნდა და მე მაშინვე ავუხსენია მას ამოცანა. დაეხატე კაკალი დახუნძლული ზე, ბიჭი ორი ჯიბით და გოგონა ერთი ჯიბით.

— რა კარგად მიხსნი, — მითხრა ლიკამ,—მე თვითონ ვერაფერი ვერ მივხვდებოდი!

— ეს უბრალო ამოცანაა. როცა გავიჭირდეს, მითხარი ხოლმე და ბედად ავიხსნი.

და აი, როგორღაც სრულიად მოულოდნელად, სულ სხვაგვარი აღმამანი გახვდა. წინათ მე მეხმარებოდნენ, ახლა კი მე თვით შემეძლო სხვებს დაეხმარებოდი. და რაც მთავარია, მე ხომ არითმეტიკაში ორიანი მქონდა.

რუსულიდან თარგმნეს ნონა ახალაქიძე და პაპუნა შარატიანიძე



# სამაისო

აი, რად მივსდევ ველებს ღიღინით, განთიადისას მსუბუქ ნისლიანს; მწამს გაზაფხულის ოქროს გვირგვინი გამარჯვების დღე — ცხრა მაისია.

ცაში გაკვირსავს ელვა ჩქარა-ჩქარა, სურნელოვანი წამოვა ქარი, ღია დახვდება ყველა ფანჯარა და ყველგან ღია დახვდება კარი.


გაზაფხულს ქროლვა ჩვენთან სწყურია თავისი ეშხით, თავისი ღონით; რვასართულიან, ცხრასართულიან ხარაჩოებსაც გაუფოთლავს მგონი.

სივრცე გეძახის უფართოესი, წახვალ, ტყვერბთან სიღმე დადგები, შემოგვსმება: თოთო ფოთლებში პირველ ხმას როგორ სცდიან ბარტყები.

აი, რად მიყვარს ეს გაზაფხული, ხეები თეთრად გადაცმულები, ვრცელი მინდვრები ღრმად გადახსული, ველზე ხეები დარაზმულები.

ისევ ბაღები ცვარდაფრქვეული, კლდიდან ჩანჩქერის სიცილ-ხალისი და დიდებულად განათებული გამარჯვების დღე — დღე ცხრა მაისი.

ზურაბ ლორთქიფანიძე



ქ. გომიანიძე

ნახ. კ. მახარაძის

## ღამრიგებელი

მშობელთა კრება სხვა დროსაც ხშირად იმართებოდა სკოლაში, მაგრამ ეს იყო საგანგებო, ძალზე სერიოზული კრება. თუმცა გაკვეთილები კარგანის დამთავრებული იყო, დერეფნებში ჯერ კიდევ იროდნენ ცნობისმოყვარე ბავშვები, მაგრამ კი არ ხმაურობდნენ ჩვეულებრივად, — ჩურჩულებდნენ, იღვინენ და ელოდნენ კრების შედეგს.

კლასში სიჩუმე იდგა. ლაბარაკობდა კლასის დამრიგებელი — ბატყევიული თამარი. ყველა სულგანაბლი უსმენდა დამრიგებელს, იგი გულნატკენი და აღშოთებული ჰყვებოდა იმის შესახებ, თუ როგორ აიძრუა სწავლაზე გული ირაკლიმ, როგორ აქვინენ მას გურამი და გივი, როგორ გაიპარნენ ისინი სკოლიდან და სახლიდან: როგორ ეძებდნენ მათ მშობლები მთელი ორი დღის განმავლობაში.

როდესაც თამარმა თავისი სიტყვა დაამთავრა, სიჩუმე ჩაშლავარდა. მშობელთა კრების თავმჯდომარე ფეხზე წამოიღგა.

— ბავშვები და მშობლებო, — დაიწყო მან მღვღვარებით, — ჩვენ მივიზინეთ კლასის დამრიგებლის დამადოტრებული სიტყვა... შევერცხეთ, ნამდვილად შევერცხეთ... შეიღებო, — განაგრძო მან და ბავშვებს მიუბრუნდა: — ესაა საქმე! სამივე პასუხს აეგუს ამანაგებობისა და მშობლების წინაშე. ჩემი შვილიდან დაგიწყებ... აბა, გურამ, ყველაფერი გვიამბე, როგორ მიზდა!

გურამი ზანტად წამოიღგა, თავი დახარა, არ ეცოდა საიდან დაეწყო. სწორედ ამ დროს ერთმა მშობელმა დაიძახა:

— ჯერ მშობლებს ვეკალით, ბავშვებმა მერე ილაბარაკონ!

გაბარებული გურამი სწრაფად დაუჯა მერხზე.

მშობლები ერთი-მეორეს ეცლიდნენ. ისინი აღშოთებით ლაბარაკობდნენ მუშვილ პირველ კლასის შესახებ, კიდვადნენ მას მოხბდაი ამის გამო.

ფეხზე იდგა სახვეაფითრებული, თვალცრემლიანი მანდილო-სანი:

— დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ამ სკოლის დირექტორს სიტყვა მივეყო, რომ ჩემი შვილის უღრისი სატყეული უკანასკნელი იქნებოდა, და ვთხოვიდ მას, არ გაეირცხა სასწავლებლიდან იგი. როგორც ზედათ, პირობა ვერ გაეპართლეთ ვერც დედამ და ვერც შვილმა. ჯერ ერთი წელიც არ გასულა, რაც მეუღლე დაეკარგე, ვფიქრობდი, ჩემი ირაკლი მხარში ამომიღებოდა, ყველაფერს გაითვალისწინებდა, კარგად ისწავლიდა, გამოისწორებოდა, მაგრამ... ლაბარაკი აღარ შემიძლია. — თქვა მარიამმა და თავდახრილი ნელა დაეშვა სკამზე.

სასწავლო ნაწილის გამებ ვარლამი ფეხზე წამოიღგა და გაჯერებულმა დაიძახა:

— ფუტბარაქე, ადექი!

ირაკლი ზოგანითო წამოიღგა.

— მუხუბე დედაშენს, რა მდგომარეობაშია დღეს შენი უფროსი ძმა იყო აქ, რომელმაც ხუთებზე დაამთავრა ეს სასწავლებელი. როცა გაიყო რისთვისაც დავიბარე — შერცხეა, უწრხულ მდგომარეობაში ნავარდა. რატომ სწერი თავს ყველას, რისთვის არცყვენ მშას, დედას, ამანაგებს, სკოლას!

— მთავს დირექტორის კამინეტში უფრო მეტი დრო აქვს გატარებული, ვიდრე საკლასო თოხანში, — წამოიძახა ვილაცამ.



— ახა, გვიამბე, როგორ გაიპარეთ სკოლიდან და შემდეგ ქალაქიდან, — დინჯად უთხრა ვარლამმა.

— მოწვევების სკოლიდან გაპარვა ჩემი ბრალი არ არის, — დაიწყო ირაკლიმ.

— სტყუის, მაგისი ბრალია, — წამოიძახა გურამმა. ირაკლიმ ცერად გადახედა ამზანას.

— შინიდან გაპარვა ვიღის ბრალია? — მოძახა დამირ-ბებულმა.

— შინიდან იმიტომ გავიპარე, რომ დედას ნათქვამი ჰქონდა: იყიდო, თუ კიდევ რაიმე შეგეძინებოდა, სახლში აღარ მოხვიდო!

— სხვები რაღად წაიყვიან? — ჰკითხა დედამ.

— მე არავინაც არ წამიყვანია!

— მამ ვინ წაიყვიანა, ვინ? — წამოიძახა გვიგამ, ირაკლის წინ აუტუტა და ტირილი დაიწყო.

— ერისპა! — ჩილიაპარავა თამარმა. — კომკავშირელი და ტირილი!

გვიგამ ტირილზე დარბაზში სიცილი გაიხსმა, — პირობას ვიდრედე... — განაცხობდა ირაკლი.

— ვე მერაბდენე პირობა? — მოძახა ახლო მჯდომმა დედამ.

— აღარ ჩავიდენ, მასწავლებელი, აღარ ჩავიდენ, — თქვა ირაკლიმ, ვერ თამარს მიაკვირდა, მერე დედას გადახედა და დაუჯდა.

— რას გვეტყვის სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივან? — კითხა ვარლამმა.

— შოთა ადგა, ქამარი გაიწორა, ჩაახველა და დაბეჭულად დაიწყო:

— ჩვენ დანაშაულები ვართ, რომ არ ვიცავთ დისციპლინას. ჩვენც, კომკავშირელებიც, ვერ ვაძლევთ სანიმუშო მაგალითს სხვებს.

— რატომ, რა გეშლით ხელს? — ჰკითხა ერთ-ერთმა მშობელმა.

— რა გეშლის? რა ვიცი, ვერ ვახერხებთ, რომ წესრიგი დავამყაროთ სკოლაში.

— გაკვეთილებიდან და ქალაქიდან მოსწავლეთა გაპარვის შესახებ თუ იხსენებთ კომკავშირის ორგანიზაციის? — ჰკითხა გიორგიმ.

— არა, ჯერ არ გვიმსჯელია!

მშობლებს არ მოეწონათ შოთას პასუხი და ახლა უკვე სკოლაში კომკავშირის როლზე მსჯელობდნენ.

შემდეგ სხვა მოწვევებზე ილაპარაკა.

— მშობლები დარჩით, მოსწავლეებმა კი დერეფანში დაიცადონ, — გამოაცხადა გიორგიმ.

გურამმა, რომელიც ირაკლისთან ერთად გაიპარა ქალაქიდან, პირველმა გამოალო კარი, გადაერჩია, გაიფიტრა და მოკურცხლა.

მოსწავლეები აიშალნენ. ხმაური მიდიოდა დერეფნისაკენ. ირაკლი განებე ილიდა გასასტუმრებელი, უძლიერა თითო-თითო მყოფლებთან გვიგამს და გურამისათვის, აპირებდა კიდევ განზრახულების სისრულეში მოყვანას, რომ კლასის დამრიგებელმა შეამჩნია ეს, მივიდა მასთან, გვერდზე გაიხსო და უთხრა:

— არა გრცხვენია? ვაჭყარ ხარ უკვე! როგორ იძუელი შეხედ დედაშენს, არ გცოფობა? მამის სურათი ხომ გაქვო სახლში?

— დიას.

— მერე, როგორ უტყარი თვალუბნი? ბოლოს და ბოლოს კომკავშირში მიღობაზე გინდა არ მემამუდე გიოსხარ უარი? დაიფერდი!

ირაკლი დერეფანში გავიდა, დარაგის წაჩხულებია, მარტო იღვა კუთხეში ჩაფიტრებული და დედის გამოსვლას ელოდებოდა.

ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა მშობლების საუბარი აღწრდებლბთან. კარგი აზრები გაუზიარეს პედაგოგებს მშობლებმა და საქონადაც მოილაპარაკეს.

როცა კომკავშირის ბურჯის მიღვანი საკლასო ოთახიდან გადიოდა, თამარმა შორიდან შეაჩერა იგი.

— შოთა, არ წახვიდე, შენთან საქმე მაქვს, — მოძახა მან.

თუმცა შინ მისვლამდე დიდი მანძილი გაიარა ერთად დედა-შვილმა, მაგრამ არც მარიამს უტყვამის რაიმე და არც ირაკლის ამოუღია ხმა.

ოთახში შესვლისას ირაკლის დამრიგებლის სიტყვები მოაგონდა, უნებარე ხანდახან სურათს შეაძლევს და დამრიგებლის წყრობას იხსახერებს. სკოლის კომკავშირის კომიტეტის ახალი მდივანი, ირაკლის მეზობელი ვანო კარგად ბუყრობა, სწავლა-შეცხარება, ამეცადინებს, ოღონდ გვიგის და გურამის სიტყვები გულში აქვს ჩარჩენილი. რად წაუდგენენ პირობი, რად შეარცხვიენს მშობელთა კრებაზე. აი, რა აუტუტებს ირაკლის, მაგრამ განა მართალი არ უთხრეს? განა მან არ წაიყვიანა გვიგი და გურამა? ჰოდა, რატომ უნდა გვეყრობს, როცა სიმართლეს პირთი გეტყვამის! — ამ დღებში რომ იყო გართული, გულში პატაკებულად თამარი შემოვიდა. გაეზარდა ირაკლის დამრიგებლის დანახვა, თან გაუტყირდა. არა, თამარი ხშირად მისულა აქ, მაგრამ სხვადასხვა უსიამოვნო მიზეზის გამო, ახლა ხომ არაფერი დღუშეგვიბა?

— დედა სახლშია? — ჰკითხა ირაკლის თამარმა.

— დიას.

— აქ რას აკეთებ?

— ჩემმა ძმამ ამ დღითი ნერვილი იყიდა, დარგვა ვეღარ მოასწორე, მასმუხარ ეჩქარებოდა, ორმოცებს ვიხსრი, დედა გამოვა და დავერგავთ, მასწავლებელი!

თამარმა გაიხილა და სახლში შევიდა.

ირაკლი ევაზ დამრიგებლის დიდილი, შემობრუნდა და უფრო ხალისიანად დაუწყო ორმის თხრა...

ესიამოვნა მარიამს თამარის დანახვა.

— ცოტა შეუღლოდ ვიყავი, სკოლაში ვეღარ გამოვადარეთ, მასაბტეთი, — ბოდიშს იხილდა მარიამი.

— არაფერია, ჩემი მარიამ, ცუდი ამბავი არ მომიტანია. ირაკლი გამოცხადდა, უკეთ სწავლობს, გვეზმარება, ერთი სიტყვით, თუ აწი არაფერი ჩაიდინა, ჯერჯერობით... ხომ არ გაჯავრებს?

ის იყო მარიამს უნდა ეპასუხნა, რომ ამ დროს ირაკლიმ შემოკოო თავი.

— დედა, ბარს ტარი მომჭრა, ჩაქუჩი ვერ ვახეხე!

— ჩაქუჩი სარდალშია, შვილო, ფანჯარაზე დევს, — მიოქო მარიამმა. თამარმა კი საუბარი განებე სხვა რამეზე გადაიტანა და ირაკლის გასაგონად თქვა:

— მარიამ, ხვალ საღამოს ირაკლის ცოტა დაავიანდება, თეატრში მივადგომი, არ შეგეშინდეთ!

«აჰა, აი, რისთვის მოსულა!» ხიზარულით გაიფიტრა ირაკლი.

მეორე დღეს ირაკლი, გივი და გურამი ერთად ისხდნენ თეატრში. ისხდნენ, მაგრამ ირაკლი ხომ მათ არ ელაპარაკებოდა? დაბმდურენ აწანაგებები. სამი დღე და დაუკი ყი მძებვით დადიოდენ ქუჩებში, როცა შინიდან გააპარნენ. სადგურშიც ერთად ეძებნათ. ჰოდა, სამივენი ერთად წამოიყვანა მილიციელმა ტალაქში. „შობულთა კრებამ დაგვამდურა. მილი დაგვამაპარკები, მაგრამ ხმა რომ არ გაქმენ? ხომ შევრცხვები! რაც იქნება და იქნება, დამრიგებულს ვეძებვი, მაგრამ როგორ გუთხარა?“ — ამ ფიტრებში იყო გართული ანტრატისის დროს ირაკლი, რომ თამარმაც ჩამოიარა.

- შენ რა მარტო ზებარა? — ჰკითხა ირაკლის.
- ასე მარჩენია, ვისყნებ.
- გივი და გურამი სად არიან?
- წყლის დასაღვევად წავიდნენ.
- შენ?
- მე არ მწყურია, — თქვა ირაკლიმ, მაგრამ უკვე ვაზარზად თავის თავზე. «ისეუ სიყრუა», — გაიფიტრა მან, თითქოს რაღაც გადაწყვიტათ, უცხად წამოიტყა და მიმავალ თამარს მიამახა: — პატციეშული დამრიგებელი თამარი შემობრუნდა.
- პატციეშული მასწავლებელი, ჩვენ ერთმანეთს არ ველაპარაკებით.

— მამ შომატყუსს? — ჩილიაპარაკა თამარმა და დარბაზში შემოსულ გივის და გურამს დაუძახა:

- მობრძანდი თქ... გივი და გურამი დამრიგებელთან გაჩნდნენ.
- არა გრცხენიათ? ჩამოართვით ირაკლის ხელი.
- გივი და გურამი თავს იკავებდნენ, მაგრამ ირაკლი წამოდგა, ჯერ გივის ჩამოართვა, შემდეგ გურამს გაუწოდა ხელი. სწორად ამ დროს დარბაზში სინათლე ჩაქრა და მეორე მოქმე-


დგმა დაიწყო. ირაკლიმ გაეწვლიდი ხელი უკან აღარ დაბრუნდა და მანამ ვერ მოისვენა, ვიდრე გურამს ხელი არ ჩამოართვა.

რამდენიმე დღის შემდეგ ირაკლი გახარებული იყო. მან უკვე შესაბე ხუთიანი მიიღო. არა, იგი დიდად მადლობელია თავისი უფროსი ძმის, დამრიგებლის, ვანოსი და ყველასი, გინც მას სწავლავს ეხმარება.

«როცა მასწავლებელს ყურს არ ვუგებელი, მიჭირდა, ახლა კი ვიმასსოვრებ და უფრო მეაღვილები. მეც კარგ ხასიათზე ვარ და დედაც მხიარულადაა. რა სისულელეა ეს გაკვეთილების გაცდენა და ვაპარვა? — ფიტრებდა ირაკლი „დურეფანში“, დიდ დასვენებაზე, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, რად უთხრა დამრიგებელმა: სამასწავლებლოში მიიღი, უჯემოდ არ წახვიდეო! — ნეტავ როდის დამთავრდება გაკვეთილები? — ფიტრებდა ირაკლი. ზარის ხმაც გაისმა და მოსწავლეებმა კრიამულით მიამუროგს საკლასო ოთახებს.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ სამასწავლებლოდან ირაკლის გურამი და გივი ელოდებოდნენ. როგორც კი გამოვიდა სამასწავლებლოდან ირაკლი, გივიმ და გურამმა მოუთმუნლად ჰკითხეს:

- რაზე ვიბარება დამრიგებელი?
- გახარებულმა ირაკლიმ ხელში ჭაბადლი ააფრიალა:
- რტომენდაცია, კომკავშირში შევდივარ... ვანო ხომ არა-სად დაგინახათ?
- ვანო იქ არის, კომიტეტის ოთახში, ბიუროს სხდომაზე. — მიუყო გურამმა.
- გამადლოთ, — უბასუხა ირაკლიმ და ისე გაიქცა, თითქოს უნდოდა სხვას არ დაესწრო, — ვანოსთვის ეხარებინა ეს სასიათფინ ამბავი!





მერხან ლეონიძე

ნახ. კ. მახარაძისა

## მარტოების მზერაები

6609

ტრახ-ტახ-ტახი  
ტრახ-ტახ-ტახი —  
გაფანტულა ნისლი...  
ეს რა ხმები ისმის?  
ეს ვინა სცემს დოღს?  
ეს რა ხმები ისმის?  
ეს ვინ მოსდევს ტყისპირს?  
შეხე, მტკვერი ავარდა  
შორს...

დაბალახობს ცხვარი,  
დაქანაობს ნარი,  
დამფრთხალმა ნარჩიტებმა  
გაღუფრინეს სერს...  
ტრახ-ტახ-ტახი  
ტრახ-ტახ-ტახი —  
აღმათ მოღის ჯარი...  
და ქალები ყანაში  
ინრდილებენ ზღეს.

ტრახ-ტრა-ტახი  
ტრახ-ტრა-ტახი —  
რამ გაგვხადა ჯარი!  
ჩვენ ვართ პიონერები —  
ბავშვები ვართ დღეს...  
ჯერჯერობით ვგზავრობთ,  
მშობელ მხარეს ვსწავლობთ —  
მთას,  
ბარს,  
მდინარეს და ტყეს.

ვსწავლობთ მთებს და ტყეებს,  
ვსწავლობთ გზებს და შარებს,  
ცა ჩვენი საბანი —  
გავექციეთ ძილს.  
ჩვენ ვართ მოგზაურები,  
ვსწავლობთ მშობელ მხარეს —  
მალა ცაში ფრინველს,  
ვიანვევლას — ძირს...

დაფარულან მთები  
წიფლით,  
წიბლით,  
მუხით...  
ვესალმებით ძელქვას,  
ევკალიბტს და ბზას.  
ჩვენ ვართ მოგზაურები —  
ზურგჩანთით და რუკით,  
დოღითა და ბუკით  
ვანშიანებთ გზას.

ტრახ-ტახ-ტახი  
ტრახ-ტახ-ტახი —  
არ ჩამორჩე ტოღს!  
პო, რა მარჯვედ სცემს  
ეს მეღოღე დოღს,  
როცა სერზე სოფელი  
გაღმოდგება შორს,  
როცა ვუახლოვდებით  
რუსთავს,  
მალლაკს,  
გორს...

ტრახ-ტახ-ტახი!  
ტრახ-ტახ-ტახი —  
არ ჩამორჩე ტოღს!

ჩვენ ვართ მოგზაურები,  
მაგრამ არა რაზმი,  
არა თვითონ რაზმი, —  
რაზმი გვიცდის შინ.  
ჩვენ ვართ რაზმის მწვერავნი,  
დედალთ მთა და ბარში,  
მოგზაურთა რაზმმა  
გამოგვგზავნა წინ.



დაბრუნდებით რაზმში  
და ჩვენს რუკებს გავშლით,  
მოგახსენებთ მამინ  
მეგობარს და ძმას:


სად — ფონია წყალში...  
სად — ბილიგი მთაში...  
დაადგება რაზმი  
ჩვენს გაკვალულ გზას...

გაუმარჯოს ჩვენზე  
მასწავლებლის ფიქრებს,  
სკოლის ჭერქვეშ განცდილს,  
სკოლის ჭერქვეშ ნახულს!  
გაუმარჯოს მელანს,  
კალამს,  
ჩანთას,  
წიგნებს...  
მაგრამ მაინც ვაჟა  
თავისუფალ ზაფხულს!

გაუმარჯოს იენისს,  
გაუმარჯოს იგლისს,  
გაუმარჯოს, — ვინაც  
ხვალის ფიქრით ცხოვრობს...  
ვინც სამშობლოს გზებზე  
დღეს ოცენებით იგლის  
და სამშობლოს კაცი  
შეიქნება ბოლოს!

ტრახ-ტახ-ტახი  
ტრახ-ტახ-ტახი  
აღმათ მოღის ჯარი...  
რამ გაგვხადა ჯარი —  
ბავშვები ვართ დღეს...  
ჯერჯერობით ვგზავრობთ,  
მშობელ მხარეს ვსწავლობთ:  
მთას,  
ბარს,  
მდინარეს და ტყეს!





წინა ნაწილი

ნახ. ალ. გვიგოლაშვილისა

# კორეელი გზიკეზი

პოლკოვნიკი მაქს სტერნი და კაპიტანი ღურბინდით გაჰყურებდნენ გადამწვარ სოფლებს, რომელთაც ახლა თეთრი კვამლი ასდოდა, და თავიანთ შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ერთმანეთს.

ჯარს სადილი — წვენი, კონსერვები მოუტანეს ავტობოით... პოლკოვნიკი და კაპიტანი შემალღებულ ადგილას დასხდნენ და ჭამას შეუდგნენ.

სადილობის დროს პოლკოვნიკს მიუახლოვდა ოფიცერი რამდენიმე ჯარისკაცისაგან შემდგარი რაზმის თანხლებით და მახლობლად შეჩერდა.

— არა უშავს, რომ ვსადილობთ. გვიპატაკე, რა ხდება იქ! — პოლკოვნიკმა თავი გადაიქინა გადამწვარი სოფლისაკენ.

— სოფელში, ბატონო პოლკოვნიკო, ყველაფერი რიგზეა. ბერიკაცების, დედაკაცებისა და ბავშვების გარდა არავინ არის. სრული სიწყნარე სუფევს... ოღონდ ეს ერთი ბერიკაცი რაღაცას იმუქრება ცალი ხელით... მეორე ხელში დაჭრილია... — მან წინ წამოსწია ხანში შესული კაცი, რომელსაც დაჭრილი ხელიდან სისხლი სწვეთავდა.

— იმუქრება?.. რას იმუქრები, ბერიკაცო? — მიუბრუნდა ის დაჭრილ კორეელს.

კორეელმა მალა ასწია მუშტი:

— მე რა უნდა დაგემუქრო, ბებრმა და ცალხელამ, მაგრამ გეუბნები, ამერიკელი პოლკოვნიკო, გეშინოდეს კორეის!.. კორეა დაგამარცხებს შენ... კარგად დამიხსოვრე ჩემი სიტყვები...

— ხედავთ ამ ქოფაკს, რა დიდ გულზეა! — წარმოთქვა გაბრაზებულმა პოლკოვნიკმა, — წაიყვანე კოჯედოში! აი, იქ ვეღარ ილაპარაკებს ასე მამაცად...

— კოჯედო? ვერა, კოჯედოში ვერ გამგზავნი! — თქვა ცალხელამ.

— ვერ გაგზავნი?

— ვერა!

— ვითომ ვინ დამიშლის?! წაიყვანე ახლავე! ოფიცერმა ჩამოსწია საღმისი გამომსახველი ხელი მუბლიდან და ის იყო უნდა ჩასჭიდებოდა ცალხელას, რომელსაც სისხლი ისევ სდიოდა დაჭრილი მკლავიდან, რომ ცალხელამ პოლკოვნიკისა-

კენ წაიწია. ოფიცერი ისე მედგრად, ისე სწრაფად მივარდა მას, რომ პოლკოვნიკისაკენ ვედარ გადადგა ფეხი, წამით შეყოყმანდა, მაგრამ უცებ იელვა პაერში დანამ და ოფიცერი ფართხალით დაეცა მიწაზე.

